



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
სსიპ - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ  
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ<sup>1</sup>  
(საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა“)



**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: გიორგი დალაქიშვილი, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**წევრები:**

ნინო ქიმერიძე სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო

თბილისი  
2021

<sup>1</sup>შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადინფორმაცია და წესებულების შესახებ

სახელწოდება	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
ძირითადი მისამართი (ქუჩა, №, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	თამარ მეფის N59, ქუთაისი, 4600, საქართველო
ვებ-გვერდი	atsu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	07/09/2018, №61
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	07/09/2024

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

**აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**

ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2011 წლის 23 სექტემბერს (გადაწყვეტილება N67). პროგრამა ამჟამად ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში (აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედებდა 2021 წლის 1 ივლისამდე). პროგრამის შეფასების საფუძველი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დაკომპლექტებული იყო დარგის ექსპერტებისგან, რომელთაც შეაფასეს საგანმანათლებლო პროგრამა, მისცეს რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ,

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის გაუმჯობესება კვლევების მიმართულებით, კონკრეტულად კი სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალისა და სასწავლო კურსების შეფასება;
- შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებასთან ერთად პრაქტიკული მეცადინეობების, ლაბორატორიაში მუშაობისა და სემინარების შეფასების დროს მიღებული შედეგების პირდაპირ გათვალისწინება.

ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა: „საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტთან და შესაბამისად, პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. რეკომენდაციებისა და რჩევების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამამ ეტაპობრივად დაგეგმა. ცვლილებები განხორციელდა პირველ რიგში ხარისხის სამსახურის რეგულაციებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებში. ინსტიტუციის ფარგლებში მომზადდა/დატენინგდა და შეიცვალა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი, რომელთაც აქტიურად შეცვალეს არაერთი სარეკომენდაციო დოკუმენტი და შეიმუშავეს სარეკომენდაციო წესები და პროცედურები. ინსტიტუციას შეემატა საქართველოსა და უცხოეთში გადამზადებული განათლების ექსპერტები, რომელთაც რეფორმირების ფარგლებში შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა შესაბამისი გაიდლაინებით. შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია ინსტიტუციის ფარგლებში, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე აქტიურ სამუშაო ფაზებს ხელმძღვანელობდა სოციალურ პარტნიორებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. კვლევების შედეგები ორეტაპად გასაჯაროვდა საერთაშორისო კონფერენციების (უმალესი განათლება – ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები) ფარგლებში 2015 და 2017 წწ.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმალესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-მ წარადგინა შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (4 დაარქივებული ერთეული). შესაბამისობის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და რეზიუმეები, ასევე შესაბამისობის თვითშეფასების 2 დანართი აღმწერი ექსელფაილი (1.1; 1.2)

წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მიმართებით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 7 21 0000574003 15/06/2021 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: გიორგი დალაქიშვილი (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე (წევრი) განახორციელა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **ფიზიკა** არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

**მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**

- ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება  
შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_
- სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება  
შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_
- საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისმიზნით განხორციელებული შეფასება  
შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_
- შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში  
შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_

<p>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</p>	<p>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეების სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</p>

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

**რეკომენდაციები**

**3.2**

- ✓ მნიშვნელოვანია გადაიხედო ზოგიერთი კურსის (ელექტრობა და მაგნიტიზმი; კლასიკური მექანიკა; ველის თეორია; კვანტური ფიზიკა; მოლეკულური ფიზიკა) წინაპირობა;
- ✓ მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- ✓ დაკორექტირდეს *საკურსო ნაშრომის* სილაბუსის სწავლის შედეგები შესაბამისი დონის (მე-6) აღმწერის შესაბამისად.

**რჩევები**

**3.1**

- ✓ სასურველია სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების დახვეწის მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რეგულარულად ტარდებოდეს სტუდენტების გამოკითხვა, სადაც ისინი გამოხატავენ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას და გამოკითხვის შედეგების ანალიზი გამოყენებულ იქნეს პროგრამის დახვეწისათვის;
- ✓ სასურველია ლიტერატურის/სასწავლო მასალების რეგულარული განახლება.

**3.2**

- ✓ განმარტებულ იქნას ჩანაწერი საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი კომპონენტის შეფასების (გვ. 8) შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა**

**დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი**

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისაა მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	უსდ-ის პერსონალი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	კვლევა, განვითარება/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები**

1. გიორგი დალაქიშვილი *გ. დალაქიშვილი*

2. ნინო ქიმერიძე

*ნ. ქიმერიძე*

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება**

სტანდარტი 1	-
სტანდარტი 2	-
სტანდარტი 3	სრული შესაბამისობა
სტანდარტი 4	სრული შესაბამისობა
სტანდარტი 5	-
სტანდარტი 6	-
სტანდარტი 7	-

**1. საგანმანათლებლო პროგრამები**

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</b>
<p>უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p>უსდ-ს შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და ამასთან საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისადაც არის შედგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკა და დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ.</p> <p>პროგრამა შედგენილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი თანამშრომლობით. პროგრამაში გათვალისწინებულია პოტენციური დამსაქმებლებისა და სტუდენტების შეხედულებებიც.</p> <p>პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მას აქვს მკაფიოდ გამოხატული მიზნები და მიზნებზე ორიენტირებული სწავლის შედეგები. ამათვის, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას არ განუცდია ცვლილება, ვინაიდან კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში წარმოდგენილი განახლებული მოთხოვნები არ იწვევს ძირეულ და კონცეპტუალურ ცვლილებებს კურიკულუმში.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოს მოქალაქეები. მიღების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:</p> <p>საკონკურსო პირობების მიხედვით ფასდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;</li> <li>- საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;</li> <li>- პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</li> </ul> <p>საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე, მობილობით - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად.</p>

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შესაბამისობაშია მოქმედკანონმდებლობასთან. ასევე, თუ პროგრამაზე დაშვების მსურველი წინაპირობებს აკმაყოფილებს, ეს ნიშნავს, რომ მას აქვს ცოდნა და უნარები, რათა დაიწყოს სწავლა პროგრამაზე.

შესაბამისი რუბრიკებისა და მასალების მიმოხილვამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები წარმოადგენს იმ ხელშემწყობ პირობას, რომელსაც საბოლოოდ კურსადმთავრებული გაჰყავს პროგრამით გაწერილ სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. ის არის გამჭვირვალე, მიღწევადი და გაზიარებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების (აწსუ: <https://www.atsu.edu.ge/>) ვებპორტალი, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

- სასურველია სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების დახვეწის მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რეგულარულად ტარდებოდეს სტუდენტების გამოკითხვა, სადაც ისინი გამოხატავენ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას და გამოკითხვის შედეგების ანალიზი გამოყენებულ იქნეს პროგრამის დახვეწისათვის;
- სასურველია ლიტერატურის/სასწავლო მასალების რეგულარული განახლება.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ.

პროგრამა შედგენილია მაღალ კვალიფიციურია კადემიური პერსონალის დახარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი თანამშრომლობით. პროგრამაში გათვალისწინებულია პოტენციური დამსაქმებლებისა და სტუდენტების შეხედულებებიც.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსები დალაგდა შემდეგი სახით:

- ✓ თავისუფალი კომპონენტის ძირითადი სასწავლო კურსები;
- ✓ თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები;
- ✓ ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები

- ✓ ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები
- ✓ დამატებითი (minor) - პროგრამა.

პროგრამის სტრუქტურის თანახმად:

პროგრამა გრძელდება 4 წელი (რვა სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს (ECTS) წელიწადში 60 კრედიტი (თითოეულ სემესტრში 30 კრედიტი). ძირითადი პროგრამა - 180 კრედიტი. დამატებითი პროგრამა (minor) 60 კრედიტი. 1 ECTS ტოლია სტუდენტის მუშაობის 25 საათის.

სტუდენტმა უნდა შეისწავლოს:

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - **38 კრედიტი**
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - **6 კრედიტი**
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები: **120 კრედიტი**
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - **16 კრედიტი**
- არჩევითი დამატებითი (**Minor**) პროგრამა - **60 კრედიტი**.

სულ სტუდენტმა უნდა დააგროვოს **240 ESTC** კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შედეგების შეჯერება ხდება პროგრამის სწავლის შედეგებში და ამრიგად, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები განზოგადებულად აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში.

კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის განხილვის პროცესში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები დაკორექტირდა მოთხოვნისა და მიხედვით და მასში აისახა სამი მნიშვნელოვანი კომპეტენცია (ცოდნა-უნარი-პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), რომელიც ერთიანობაში წარმოაჩენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას.

ძირითადი დარგობრივი სილაბუსები დაექვემდებარა კორექტურას, გარკვეული შესწორება უნდა განხორციელდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც ფაქტობრივად დონეთა განსხვავების მიუხედავად სწავლის შედეგები აბსოლუტურად იდენტურია, მეტიც, იდენტურია განსხვავებულ ენებშიც კი. უცხოური ენების სწავლა-სწავლებისა ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო 6 კომპეტენციის შესაბამისად, მათ შორის 4 ყველაზე აქტიური ენობრივი კომპეტენციისათვის, განსხვავებულ მისაღწევ შედეგს აყალიბებს როგორც ენობრივ, ისეთი თემატურ, აუდირებისა და ინტერაქციული კომუნიკაციის დონეზე.

დასკორექტირებელია ასევე *საკურსო ნაშრომის* სასწავლო სილაბუსი, სადაც *ცოდნის* კომპონენტში მითითებულია: *აქვს ფიზიკის ღრმა და სისტემური ცოდნა [...] ან [...] ასპექტის სიღრმისეული ცოდნა [...].*

საბაკალავრო პროგრამისა, საგნების სილაბუსების გაცნობამ დაადასტურა, რომ თითოეული კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდი შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა არის ადეკვატური.

ყოველი სასწავლო კომპონენტის დიდ ნაწილს მითითებული აქვს ადეკვატური წინაპირობა, რომელიც ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნასა და უნარებს.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი ლიტერატურით. ძირითადი ლიტერატურა არის ქართულ ენაზე. დამატებითი ლიტერატურა არის როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე.

სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია აწსუ-ს ბიბლიოთეკაში როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით. აწსუ-ს ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

ასევე აღსანიშნავია, რომ კურსების სასწავლო სილაბუსების გაცნობამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოდგენა შეუქმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობაზე. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კომპონენტი *საკურსო ნაშრომი*, რომლის ფარგლებში სტუდენტი ინვითარებს ფიზიკის რომელიმე მიმართულებაში კონკრეტულ თემაზე სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების, შესწავლის, კონკრეტულ ამოცანაზე მისადაგების, შედეგების წერილობით და ზეპირად წარმოდგენის, აკადემიური წერის უნარებს და ახორციელებს კონკრეტულ აქტივობებს ეთიკური პრინციპებისა და გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვით. საკურსო ნაშრომი შეიძლება იყოს რეფერატული ან კვლევითი ხასიათის. საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელი და თემატიკა ისაზღვრება დეპარტამენტის მიერ პროგრამის მე-7 სემესტრის დასრულებისას.



პროგრამა აგებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად მარტივიდან რთულისკენ. ზოგადი ფიზიკის კურსების გავლის შემდეგ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს თეორიული ფიზიკის კურსები. თეორიული მიმართულების საგნებთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან ფიზიკის პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ისეთ საგნებსაც, როგორცაა აელექტრონიკა, რადიოტექნიკა, პლაზმის ფიზიკა, ფიზიკის პრაქტიკუმი, ფიზიკის სწავლების მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების სამომავლო დასაქმებას.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ.

სტუდენტს ენიჭება ფიზიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის

სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ განისაზღვრა კვალიფიკაციის დასახელებად განისაზღვრა **ფიზიკის ბაკალავრი 0533.**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- ✓ მნიშვნელოვანია გადაიხედოს ზოგიერთი კურსის (ელექტრობა და მაგნიტიზმი; კლასიკური მექანიკა; ველის თეორია; კვანტური ფიზიკა; მოლეკულური ფიზიკა) წინაპირობა;
- ✓ მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- ✓ დაკორექტირდეს *საკურსო ნაშრომის* სილაბუსის სწავლის შედეგები შესაბამისი დონის (მე-6) აღმწერის შესაბამისად.

**რჩევები:**

- ✓ განმარტებულ იქნას ჩანაწერი საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი კომპონენტის შეფასების (გვ. 8) შესახებ.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შეფასების ორ განსვავებულ სისტემას. პირველი გულისხმობს სასწავლო კომპონენტის შეფასებას, ხოლო მეორე არის რეფერატული ტიპის მცირე ზომის საკურსონაშრომის შეფასების სქემა.

საუნივერსიტეტო სივრცეში პროგრამის სასწავლო კომპონენტებთან მიმართებაში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3, 5.01.2007 შესაბამისად.

სასავლო კომპონენტის შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. ეს წესები საჯაროა, ხელმისაწვდომია,

გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების, შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიანკარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
- (Fx) ვერჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს;

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულაანაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანია ხლიდან აქვს შესასწავლი.

რაც შეეხება საკურსო ნაშრომის შეფასებას, ის ითვალისწინებს დაცვის პროცედურას, რაც თავის მხრივ გულისხმობს დაცვის პროცედურას:

- სპეციალური კომისიის წინაშე სტუდენტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას;
- ნაშრომის შინაარსის, მისი პრეზენტაციისა და სამეცნიერო დისკუსიის საფუძველზე კომისიის მიერ ნაშრომის შეფასებას.

დაცვაზე დაშვების წინაპირობაა თემის ხელმძღვანელისა და ნაშრომის რეცენზენტის დადებითი დასკვნები. საკურსო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, მათ შორის:

- ✓ ნაშრომის ფორმალური მხარე - 10 ქულა;
- ✓ ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 60 ქულა:
  - თემის აქტუალურობა - 30 ქულა;
  - თემის ორიგინალურობა - 10 ქულა;
  - შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა - 5 ქულა;
  - შეგროვილი მონაცემები, შემუშავებული მეთოდები - 5 ქულა;
  - საინფორმაციო რესურსების გამოყენება - 5 ქულა;
  - მსჯელობის ხარისხი - 5 ქულა;

ნაშრომის პრეზენტაცია - 30 ქულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულია მუნდაგაი თვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

<b>4.1. პერსონალის მართვა</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.</li> <li>○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებითა და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციით. მათ შორის: პროფესორი 3, ასოცირებული პროფესორი 11, ასისტენტ-პროფესორი - (ყველა აფილირებული პირი). სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს ემსახურება 4 მოწვეული პერსონალი.</p> <p>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა პერსონალის გადამზადება. მათი კვალიფიკაცია უშუალოდ შეესაბამება სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შინაარსს.</p> <p>განმახორციელებელმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამართულ ტრენინგებში თემებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>უმადლოესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;</i></li> <li>• <i>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია;</i></li> <li>• <i>თვითშეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;</i></li> <li>• <i>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება.</i></li> </ul>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</b></p> <p>პროგრამის განმახორციელებელი პირების რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა აგაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p><b>რჩევები:</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა**

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისრაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

თვითშეფასების დანართებში წარმოადგენილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეების მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-7 დონეს. მასალებში ასახულია აკადემიური პერსონალის კვლევების მიმართულებები, მათი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩამონათვალი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისიმტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუსშედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამუნდაგაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ფიზიკა	ქართული	ფიზიკის ბაკალავრი, 0533	240	ავტორიზებული	07/09/2018, №61
2						
3						
4						
5						